პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

2 აგვისტო, ხუთშაბათი 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 180 (15697)

ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა ი. კადარს

31 ივლისს ყირიმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ი. კადარს.

საუბრის დროს განიხილეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ძმური ურთიერთობის შემდგომი გაღრმავების, საბჭოთა კავშირ-უნგრეთის თანამშრომლობის ყოველმხრივი გაფართოების საკითხები უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში სოციალიზმის აშენების პარტიის [illegible] 1972 [illegible] შეხვედრის [illegible] მიღწეულ შეთანხმებათა სულისკვეთებით.

ლ. ი. ბრეჟნევისა და ი. კადარის შეხვედრამ გულითადი მეგობრული ვითარიბაში ჩაიარა და დაადასტურა ყველა განსახილველი საკითხზე შეხედულებათა სრული ერთიანობა.

ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა ე. ჰონეკერს

31 ივლისს ყირიმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ე. ჰონეკერს.

საუბრის დროს განიხილეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ძმური ურთიერთობის, საბჭოთა-გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხები.

ლ. ი. ბრეჟნევისა და ე. ჰონეკერის შეხვედრამ გულითადი მეგობრული ვითარიბაში ჩაიარა და დაადასტურა ყველა განსახილველი საკითხზე შეხედულებათა სრული ერთიანობა.

მეგობრული შეხვედრა

შეხვედრის დროს

ვ. მუსაელიანის ტელეფოტო (საკკპი).

I.

30-31 ივლისს ყირიმში გაიმართა სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელთა შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ: ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე **ტ. ჟივკოვი**, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ე. ჰონეკერი**, მონგოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ი. ცედენბალი**, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ე. გერეკი**, რუმინეთის კომპარტიის გენერალური მდივანი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე **ნ. ჩაუშესკუ**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი **ლ. ი. ბრეჟნევი**, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ი. კადარი**, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი **გ. ჰუსაკი**, ავრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. ა. გრომიკო**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ბ. ნ. პონომარიოვი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **კ. თ. კატუშევი**.

შეხვედრის მონაწილეებმა ერთმანეთს ინფორმაცია გაუზიარეს თავიანთი პარტიების ცხოვრებისა და საქმიანობის, თავიანთი სოციალისტური სახელმწიფოების განვითარების შესახებ. განიხილეს მოძმე პარტიებისა და ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიური და იდეოლოგიური თანამშრომლობის საკითხები. გაიმართა აგრეთვე აზრთა ფართო გაზიარება აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე.

II.

ბულგარეთის კომპარტიის, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის, მონგოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის, რუმინეთის კომპარტიის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ხელმძღვანელებმა დაადასტურეს, რომ ყირიმის 1972 წლის ივლისის შეხვედრის შემდეგ განვლილ პერიოდში მნიშვნელოვანი წარმატებანია მიღწეული იმ საგარეო-პოლიტიკური მიზნების განხორციელების საქმეში, რომლებიც დასახულია ვარშავის ხელშეკრულების პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის განცხადებებში, მოძმე პარტიათა ყრილობების გადაწყვეტილებებში, სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახულ მშვიდობის პროგრამაში. ომის შეწყვეტა ვიეტნამში, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სრული საერთაშორისო-სამართლებრივი ცნობა, ჩეხოსლოვაკიისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის მოგვარება, კუბის საერთაშორისო პოზიციების განმტკიცება, სრულიად ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებისადმი მიძღვნილი თათბირის წარმატებით დაწყება — ყოველივე ეს ასახავს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის გავლენის ზრდას.

ამ პოლიტიკის განხორციელებაში, მთელი საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებაში დიდი როლი შეასრულეს მოძმე პარტიებისა და სოციალისტური ქვეყნების ხელმძღვანელთა უკანასკნელი დროის შეხვედრებმა და მოლაპარაკებამ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან.

ლ. ი. ბრეჟნევმა ილაპარაკა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საგარეო-პოლიტიკურ მოღვაწეობაზე XXIV ყრილობის შიერ მიღებული მშვიდობის პროგრამის რეალიზაციის საქმეში. ამასწინანდელ ვიზიტებზე ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და საფრანგეთში, გამართულ მოლაპარაკებებსა და დადებულ შეთანხმებებზე, მათ შორის — საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმებაზე ატომური ომის თავიდან აცილების შესახებ. მოძმე პარტიების ხელმძღვანელებმა მაღალი შეფასება მისცეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ საგარეო პოლიტიკას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის პირად წვლილს ამ დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის მჭონე პოლიტიკის განხორციელებაში.

გამოტანილია საერთო დასკვნა, რომ მთლიანად საერთაშორისო ვითარებაში მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებანი მოხდა: სულ უფრო ფართო საერთაშორისო აღიარებას პოულობს სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები; ფართოვდება სოციალისტური და კაპიტალისტური ქვეყნების ხელსაყრელი ეკონომიური ურთიერთობა; ისახება უფრო ხელშემწყობი პერსპექტივები ახალი კონსტრუქციული ნაბიჯების გადასადგმელად, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებას.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა ყველა დაინტერესებულმა სახელმწიფომ ერთობლივი მეცადინეობით დაამკვიდროს საერთაშორისო ასპარეზზე მომხდარი პოზიტიური ძვრები, თანმიმდევრულად განახორციელოს დადებული შეთანხმებანი და ხელშეკრულებანი, განუხრელად განაგრძოს წინსვლა მთავარი მიზნის — საყოველთაო მშვიდობის მისაღწევად.

გამოითქვა ერთსულოვანი გადაწყვეტილება ამ მიმართულებით, განსაკუთარონ სოციალისტური ქვეყნების აქტიური თანამშრომლობა. დადასტურდა მათი მზადყოფნა ხელი შეუწყონ სრულიად ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებისადმი მიძღვნილი თათბირის წარმატებას. მოძმე პარტიების ხელმძღვანელებმა დადებითად აფასებენ ჰელსინკის მოსამზადებელი კონსულტაციებისა და სრულიად ევროპის თათბირის პირველი ეტაპის — საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის ძირითად შედეგებს, და გამოთქვამენ რწმენას, რომ ამ თათბირის მუშაობა, რომელსაც ხალხები ევროპაში ნამდვილად მტკიცე მშვიდობის დამკვიდრების დიდ იმედებს უკავშირებენ, საგანგებო შეიძლება დამთავრდეს მიმდინარე წელსვე, თუ მისმა მონაწილეებმა კეთილი ნება გამოიჩინეს. იმ მიზნით, რომ თათბირის გადაწყვეტილებებს უმეტესი პოლიტიკური ავტორიტეტი მიენიჭოს, მიზანშეწონილი იქნებოდა მისი დასკვნითი ეტაპი მოეწყოს უმაღლეს დონეზე.

სოციალისტური ქვეყნები მხარს უჭერენ ევროპის სახელმწიფოთა შორის დიდი მასშტაბისა და ხანგრძლივი ეკონომიური ურთიერთობის გაშლას, რომელიც თავისუფალი იქნება დისკრიმინაციისა და უთანასწორობისაგან, ყველა ქვეყნის სახალხოდეობრიობის ფართო და მრავალმხრივ კონტაქტებს, ტურიზმის, სპორტული ურთიერთობის წახალისებას, კულტურული ურთიერთობის განვითარებასა და სულიერ ღირებულებათა გაცვლას ხალხთა მშვიდობის განმტკიცებისა და ურთიერთგაგებისათვის. სოციალისტური ქვეყნები ითვალისწინებენ იმას, რომ ასეთი თანამშრომლობა უნდა ვითარდებოდეს თვითეული სახელმწიფოს სუვერენიტეტის განუხრელი პატივისცემისა და მის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის ფარგლებში, კანონების დაცვის, თვითეული ქვეყნის წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების გათვალისწინების პირობებში. ეს თანამშრომლობა შეესაბამება ევროპის ყველა ხალხის და თვითეული მათგანის ინტერესებს.

ქმაყოფილებით აღინიშნა, რომ ახლა მიმდინარეობს საზოგადოებრივი ძალების საქმიანობის აქტივიზაცია, რომლებსაც შეუძლიათ დიდი როლი შეასრულონ ისტორიული ამოცანის გადაწყვეტაში მშვიდობის კონტინენტად ევროპის გადაქცევაში, დედამიწაზე მშვიდობის განმტკიცებაში.

სოციალისტური ქვეყნები თანმიმდევრულად იღვწიან, რომ პოლიტიკური დაძაბულობის შენელებას მოჰყვეს სამხედრო დაძაბულობის შენელება, რომელიც ხელს უწყობს განიარაღებას. ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ იმას, რომ ამა წლის ოქტომბერში ვენაში უნდა გაიმართოს მოლაპარაკება ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ.

სოციალისტურ ქვეყნებს საჭიროდ მიაჩნიათ, რომ გაფართოვდეს დაძაბულობის შენელების ზონა, გავრცელდეს იგი მთელ მსოფლიოში. ეს უწინარეს ყოვლისა მოითხოვს იმპერიალისტური აგრესიის მიერ შობილი კონფლიქტური სიტუაციების უთუო მოწესრიგებას.

შეხვედრის მონაწილეებმა კვლავ დაადასტურეს, რომ უცვლელად უჭერენ ძმარს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის პოზიციებს, რომლებიც მოითხოვენ, რომ ყველა მხარემ განუხრელად შეასრულოს პარიზის შეთანხმება; ინდოჩინეთის ხალხებს მისცენ შესაძლებლობა თვითონ გადაწყვიტონ თავიანთი ბედი დამყარონ სამართლიანი მშვიდობა, მეგობრული ინდოჩინეთში; გამოთქმულია ინტერნაციონალური სოლიდარობა ვიეტნამელი ხალხისადმი, მზადყოფნა გაუწიონ საჭირო დახმარება, განამტკიცონ ძმური თანამშრომლობა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან.

ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა კვლავ არის ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობა, რომელიც უნდა მოწესრიგდეს ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან ისრაელის ჯარების სრული გაყვანის, ამ რაიონის სახელმწიფოებისა და ხალხების, მათ შორის პალესტინის არაბი ხალხის დამოუკიდებლობისა და კანონიერი უფლებების პატივისცემის საფუძველზე.

დაძაბულობის შენელებისა და სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის განვითარების პოლიტიკის მხურვალედ უჭერენ მხარს ხალხები, მსოფლიოს მთელი პროგრესული, მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობა. მაგრამ ჯერ კიდევ არიან ძალები, რომლებიც, მოქმედებენ რა „ცივი ომის“ სულისკვეთებით, ეწინააღმდეგებიან საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, მოითხოვენ საომარი მზადების გაფართოებას. სამხედრო ბიუჯეტების გაბერვას. საჭიროა მუდმივი სიფხიზლე, ამ ძალების პოლიტიკის მიმართ. წინააღმდეგობა მათი ცდებისადმი, რათა შეცდომაში არ შეიყვანონ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი, არ დათესონ უნდობლობა და მტრობა ხალხთა შორის, დაძაბულობის შენელება არ გამოიყენონ სოციალიზმის პოზიციების შერყევისათვის.

სოციალისტური სახელმწიფოები აბრკოლებენ პრინციპულ კლასობრივ საგარეო პოლიტიკას. მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების კურსი. სოლიდარობა ყველა ქვეყნისა და კონტინენტის ხალხთა განმათავისუფლებელ ბრძოლასთან, მათი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, თავიანთი ბედის დამოუკიდებელი განსაზღვრის უფლებაზე ხელყოფისათვის საკადრისი პასუხის გაცემა — ასეთია ამ პოლიტიკის განუყოფელი შემადგენელი ნაწილები.

სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის კომპლექსური პროგრამის განხორციელების მიმდინარეობისა და ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს საქმიანობის შემდგომი სრულყოფის ძირითადი მიმართულებანი გაანალიზეს იმის გათვალისწინებით, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური ქვეყნების ეკონომიურ თანამშრომლობას წარმატებული სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობისათვის. ამ ქვეყნების ხალხთა კეთილდღეობისა და კულტურის მუდმივი გაუმჯობესებისათვის. დადასტურდა, რომ ეს საკითხები კვლავაც უნდა იყოს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ყურადღების ცენტრში.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ მშვიდობისა და სოციალური პროგრესის საქმის წარმატებას ხელს უწყობს კომუნისტური და მუშათა პარტიების, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების მზარდი ერთიანობა. გაშოითქვა რწმენა, რომ მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირების განუხრელი ზრდა, ყველა ქვეყნის კომუნისტთა მჭიდრო ძმური თანამშრომლობა კვლავაც შეასრულებს თვალსაჩინო როლს დაძაბულობის შენელების განმტკიცებაში, მშვიდობისა და სოციალიზმის იდეალების გამარჯვებაში.

III.

შეხვედრაში მონაწილე ყველა მოძმე პარტიის ხელმძღვანელებმა ერთსულოვნად აღნიშნეს, რომ ესწრაფიან განავითარონ ყოველმხრივი თანამშრომლობა სოციალისტურ ქვეყნებს შორის, შეათანხმონ ღონისძიებანი საერთაშორისო ასპარეზზე სოციალიზმისა და მშვიდობის განმტკიცების საქმის ინტერესებისათვის.

შეხვედრამ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

როგორ სრულდება კურკოვანი ხილის 1973 წლის მოსავლის შესყიდვის სახელმწიფო გეგმა

1973 წლის 30 ივლისისათვის ყველა კატეგორიის მეურნეობებში (ტონობით)

	გეგმა	შესრულება	პროც.
ახალციხის	350	20	6
ადიგენის	135	—	—
ახალქალაქის	210	15	7
ხაშურის	2310	480	21
ქარელის	3010	330	11
გორის	5500	848	15
კასპის	1200	138	11
გორგომის	330	—	—
საგარეჯოს	1320	69	5
გურჯაანის	600	87	15
სიღნაღის	450	78	17
თელავის	330	108	31
ახმეტის	330	105	32
ყვარლის	810	387	125
ლაგოდეხის	580	95	16
ბარდავის	3500	1185	34
მცხეთის	934	96	10
მარნეულის	1400	1088	77
გოლენისის	610	142	23
დუშეთის	1100	6	1
თეთრი წყაროს	540	83	15
თიანეთის	280	—	—
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	2750	8	—
წყალტუბოს	2100	1008	48
სამტრედიის	2380	2262	95
წულუკიძის	520	533	103
ჯანის	610	1308	214
მაიაკოვსკის	630	247	39
ზესტაფონის	520	571	110
თერჯოლის	890	769	86
ბიათურის საქალაქო საბჭო	840	690	82
საჩხერის	1150	368	32
ორჯონიკიძის	980	385	31
ტყიბულის საქალაქო საბჭო	2000	868	34
ონის	270	—	—
წითელწყაროს	—	8	—
ამბროლაურის	660	8	0,4
ცაგერის	585	13	2
აბაშის	397	277	70
ცხაკაიას	420	179	43
გეგეჭკორის	840	596	71
ზუგდიდის	600	499	83
ხობის	290	197	68
წალენჯიხის	400	262	66
ჩხოროწყუს	210	236	112
მახარაძის	1108	566	51
ლანჩხუთის	310	465	150
ჩოხატაურის	800	622	78
აფხაზეთის ასსრ	2310	829	36
აბაშის ასსრ	500	220	44
ს უ ლ	50130	19034	38

1973 წლის 30 ივლისისათვის რესპუბლიკაში დაგროვდა იქო 29982 ტონა კურკოვანი ხილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

მიუხედავად ამისა, რომ წელს ხელსაყრელი პირობებია კურკოვანი ხილის უხვი მოსავლის მიღებისათვის და მნიშვნელოვანი რაოდენობის ხილის დასამზადებლად კოლმეურნეობების, ხიბჭოთა მეურნეობებისა და რაიონების მიერ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებათა შესრულებისათვის, რესპუბლიკაში დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა სახელმწიფო დავალებათა შესრულების საქმეში. 30 ივლისისათვის დამზადებულია 19.094 ტონა კურკოვანი ხილი, 10 ათასი ტონით ნაკლები, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდისათვის, ეს დიდ ხიბნელეებს ქმნის ყვებიან მნიშვნელოვანი პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგებაში და საკონსერვო ქარხნების მუშაობაში.

არიან კიდევ რაიონებისა და მეურნეობების ხელმძღვანელები, რომლებიც დაპირებებს სჯერდებიან და ამავე დროს ყარდანალურ ღონისძიებებს ახორციელებენ კოლდებულებებისა და თვით სახელმწიფო გეგმის შესრულებისათვის. მაგალითად, მაიაკოვსკის რაიონმა (პარტიის რაიკომის პირველი მდივანი შ. კოზიძე, რაიაღმასკომის თავმჯდომარე რ. ბერხეიძე), რომელსაც თითქმის ისეთივე გეგმა და პირობები აქვს, როგორც მეზობელ ვანის რაიონს, სადაც კურკოვანი ხილის დამზადების წლიური გეგმა 214 პროცენტით შესრულდა, 30 ივლისისათვის დამზადდა 247 ტონა კურკოვანი ხილი, რაც წლიური გეგმის მხოლოდ 38 პროცენტს შეადგენს.

კურკოვანი ხილის დამზადებაში ხელოვნურად ჩამორჩებიან ქარელის რაიონი (პარტიის რაიკომის პირველი მდივანი შ. მაჭარაშვილი), რაიაღმასკომის თავმჯდომარე პ. ფუცხოძე), ხაგურეჯოს რაიონი (პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ო. საბაშვილი, რაიაღმასკომის თავმჯდომარე მ. მეზვრიშვილი). მცხეთის რაიონი (პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ბ. კავთიაშვილი, რაიაღმასკომის თავმჯდომარე დ. რომელაშვილი). ქობულეთის რაიონი (პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ვ. ოდიშვილი, რაიაღმასკომის თავმჯდომარე ბ. ბოლიაშვილი). ხაჩხერის რაიონი (პარტიის რაიკომის პირველი მდივანი შ. ბილსაძე, რაიაღმასკომის თავმჯდომარე ბ. ხუციძე). აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკა (პარტიის ხალქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. კოლასინი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე შ. თასთარაშვილი). აჭარის ასსრ რესპუბლიკა (პარტიის ხალქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. თხილაიშვილი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ლ. დავითაძე) სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი (პარტიის ხალქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ჯუსოევი, ხალქო დეპუტატთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე შ. ხანთაკოევი) და თითქმის ყველა სხვა რაიონები.

ცეკავშირის მთელი რიგი დამამზადებელი კანტორების კოლექტივები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ. ისინი მოუქნელობას ამჟღავნებენ ახორციელებენ ბაღლინჯოებისა და ფაქტები. ცეკავშირმა და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა გარდაქმნან მუშაობა ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში, უზრუნველყონ სახელმწიფო დავალებათა შესრულება.

ხილის კრეფა უნდა მოგვარდეს ეგრეთვე ტყე-ბაღებში. მინდორსაცავ ტყის ხილებში. ბუჩქებსა და ხარწყვაი არხების გასწვრივ.

რაიონებმა პარტიული ხიბჭოთა, ხალხოფლო-ხამეურნეო ორგანიზაციები, კოლმეურნეობებისა და ხიბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები, ყველა, ვინაც ეს ეხება, ვალდებული არიან განაგრძონ გადაუდებელი ღონისძიებანი, რათა უთუოდ შეასრულონ, ხალხმეურნეობისათვის ხილის მიეყიდვის გეგმა და ვალდებულებანი. (ხაკინფორმი).

გავუფრთხილდეთ საწარმოს მარკის ღირსებას

რეზერვი, ძიება, შედეგი

ასე იბრძვიან ინელი მეფეხსაცმელეები პროდუქციის გამოშვების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის

„ინანის“ ფეხსაცმლის ფაბრიკას მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რესპუბლიკაში, იგი უშვებს ქართული ფეხსაცმლის 60 პროცენტს. ჩვენი პროდუქცია იგზავნება თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში. რაც განსაკუთრებული პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს საწარმოს მრავალრიცხოვან კოლექტივს, როგორ შრომობენ ხუთწლეულის შესამე გადამწყვეტ წელს შეფეხსაცმელეები. როგორ ასრულებენ სკკპ XXIV ყრილობის გადწყვეტილებებს?

სიამაყით უნდა აღინიშნოთ, რომ მეფეხსაცმელეებმა დაძლიეს ჩამორჩენა და წელს მტკიცედ დადგნენ ალმაფლობის გზას. და გადაკარბებით შესრულდა წლის პირველი ნახევრის გეგმა, გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 25 ათასი წყვილი ფეხსაცმელი. მაგრამ, რაც ყველაზე მთავარი და სასიხარულო, მკვეთრად ამაღლდა პროდუქციის ხარისხი, იაფი რეკლამაციებმა, შარშანდელთან შედარებით თითქმის შემცირდა რეკლამაციების რიცხვი. ფეხსაცმელი „ინანის“ მარკით სულ უფრო მეტი მოწონებით სარგებლობს.

მაგალითად, თუ შარშან მეოთხე კვარტალში თბილისის მაღაზიებში ჯერ კიდევ ირიცხებოდა საერალიზაციოდ მიღებული 90 ათასი მანეთის პროდუქცია, წელიწადნახევრის წლის პირველ კვარტალში ეს აღარ გამეორებულა. ფაბრიკის პროდუქცია მომხმარებელთა მოწონებით რომ სარგებლობს, ამას ისიც მოწმობს, რომ შიმდინარე წლის პირველ ნახევარში მარტო თბილფეხსაცმლის სავაჭრო ორგანიზაციებმა გეგმით გათვალისწინებული 1 მილიონ 896 ათასი მანეთის ნაცვლად გაყიდეს 2 მილიონ 612 ათასი მანეთის პროდუქცია.

კიდევ რამდენიმე მაგალითი: თუ შარშან აპრილ-მაისში გამოშვებული იყო 867 ათასი წყვილი ფეხსაცმელი. წელს შესაბამის პერიოდში გამოშვებულია 83 ათასი წყვილით მეტი. ეს იმას ნიშნავს, რომ პროდუქციის გამოშვების ზრდის ტემპი შარშანდელთან შედარებით თითქმის 10 პროცენტით გაიზარდა. წარმატებით შესრულდა ნახევარი წლის გეგმა. ნაკლისი სოციალისტური ვალდებულებები. მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა შორის გაწლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველ კვარტალში გამარჯვებისათვის ვალდებულება აიღო საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია. ეს შრომითი წარმატება განაპირობა კარგად ორგანიზებულმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ. ფეხსაცმლის წარმოება აძიაძად მშიდროდ არის დაკავშირებული მომხმარებლის გაზრდილ მოთხოვნებთან, ამიტომ წარმოებიდან მოვხსენით მოძველებული მოდელები, რომლებიც არ უპასუხებდა თანამედროვეობის გაზრდილ მოთხოვნებს. და მათ მაგიერ დაიწყეთ ისეთი ფეხსაცმლის გამოშვება, რომელიც თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე. ჩვენი ფეხსაცმლისათვის უცხო ალარ არის არც „ხარისხის ნიშანი“ და არც შეჯიბრება-კონკურსებში უმაღლესი შეფასების მიღება. ამიტომ ახლა ვიბრძვით მასობრივი ფეხსაცმლის ხარისხის ისეთ სიმაღლეზე ამყვანისათვის, რომ იგი არ ჩამოუვარდებოდეს მოდელურს. ამ მხრივ უკვე გაჩენილ გარკვეული წარმატებანი. მაგალითად, ქალის ფეხსაცმლის მოდელები — ოთხი ლია საზაფხულო და ექვსი საზამთრო დახურული ფეხსაცმელი, რომლებსაც ახლა მასობრივად ვუშვებთ, არაფერთ არ ჩამოუვარდება მოდელურს. ფაბრიკის მანგალისის ფილიალში შეკერილი ბავშვის ფეხსაცმელი კი ხარისხით ბევრად აღემატება სან

ლაზე ამყვანისათვის. რომ იგი არ ჩამოუვარდებოდეს მოდელურს. ამ მხრივ უკვე გაჩენილ გარკვეული წარმატებანი. მაგალითად, ქალის ფეხსაცმლის მოდელები — ოთხი ლია საზაფხულო და ექვსი საზამთრო დახურული ფეხსაცმელი, რომლებსაც ახლა მასობრივად ვუშვებთ, არაფერთ არ ჩამოუვარდება მოდელურს. ფაბრიკის პროდუქცია მომხმარებელთა მოწონებით რომ სარგებლობს, ამას ისიც მოწმობს, რომ შიმდინარე წლის პირველ ნახევარში მარტო თბილფეხსაცმლის სავაჭრო ორგანიზაციებმა გეგმით გათვალისწინებული 1 მილიონ 896 ათასი მანეთის ნაცვლად გაყიდეს 2 მილიონ 612 ათასი მანეთის პროდუქცია.

კიდევ რამდენიმე მაგალითი: თუ შარშან აპრილ-მაისში გამოშვებული იყო 867 ათასი წყვილი ფეხსაცმელი. წელს შესაბამის პერიოდში გამოშვებულია 83 ათასი წყვილით მეტი. ეს იმას ნიშნავს, რომ პროდუქციის გამოშვების ზრდის ტემპი შარშანდელთან შედარებით თითქმის 10 პროცენტით გაიზარდა. წარმატებით შესრულდა ნახევარი წლის გეგმა. ნაკლისი სოციალისტური ვალდებულებანი. მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა შორის გაწლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველ კვარტალში გამარჯვებისათვის ვალდებულება აიღო საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. ეს შრომითი ამოცანა ასევე ადგილი აქვს ბუნებრივ აბრეშუმის ქარხანაში. ეს ქარხანა ბოლო ორი კვარტალია ვერ ასრულებდა ამ ამოცანას

თანამედროვეობის მთავარი ძალა

სიტყვები, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა წარმოთქვა კიევში, კვლავ დიდ უურადღებას იაპყრობენ მთელ მსოფლიოში. თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწეები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მშრომელები, მასობრივი ინფორმაციის ორგანოები კვლავ უძღვნიან კომენტარს ლ. ი. ბრეჟნევის გამონათქვამებს აქტუალურ საერთაშორისო საკითხებზე, კომუნიზმის მშენებლობაში საბჭოთა ხალხის წარმატებებზე.

ამბანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას უკრაინის სსრ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე სიხარულით და სიამაყით შეხვდა ბლაგოევ-დიმიტროვის კომუნისტური პარტია დაამთელი ბულგარელ ხალხი, რომლებმაც ენთუზიაზმით აღიქვეს ამრეთვე ამბანაგ ტ. ჟივკოვის მოხსენება ბულგართის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამას წინანდ გამართულ პლენუმზე ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განვითარებაში ახალი ეტაპის შესახებ. გაბაცხადა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ც. დრაგოიჩევამ. ამბანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას აღიქვამენ როგორც იმ პრინციპების კანონზომიერ ესტეტიკას, რომლებიც ლენინმა ჩამოაყალიბა და რომლებმაც განსაკუთრებით მკაფიო გამოხატულება პოვეს სკკპ XXIV ყრილობის შემდეგ, როგორც იმის კიდევ ერთ დადასტურებას, რომ სულ უფრო იზრდება საბჭოთა კავშირის წამყვანი ძალის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის როლი.

ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ი. კო

საქართველოს ეთა-ბაღში

მაღაროელები კურორტებზე

ჰეათშრა. (საკ. კორ.). ჩვენი ქვეყნის საუკეთესო სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში წელს უკვე დაისკენა 725 მაღაროელმა. წელს შვებულებას კურორტებზე გაატარება ორი ათასამდე მაღაროელი, მარტო კურორტ კვერეთში დაისვენებს 650 მაღაროელი, ხოლო ლენინის სახელობის მაღაროს სანატორიუმ-პროფილაქტორიუმში 600 მუშა. აქ უკვე დაისვენა 350 მუშა-მოსამსახურემ.

მაღაროელთა დასვენებისათვის სოციალური დაზღვევის ბიუჯეტიდან და მატერიალური წახალისების ფონდიდან წელს დაიხარჯება 105.500 მანეთი. ტურისტული საგზურებით წელს ისარგებლებს ასობით კაცი, ხოლო ტურისტულ ლაშქრობებში მონაწილეობას მიიღებს ორი ათასამდე მაღაროელი.

სამედიცინო ცოდნა ხალხს!

თბილისი. (საკ. კორ.). ჟურნალ „საბჭოთა მედიცინის“ სარედაქციო კოლეგიებმა თბილისის რაიონის მედიცინის მუშაკთათვის მოაწყო თეორიული კონფერენცია.

მოხსენებებით გამოვიდნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ჰოსპიტალური თერაპიის კათედრის გამგე, პროფესორი ხ. კობალაძე, ამავე ინსტიტუტის უროლოგიის კათედრის გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ვ. ბაბუხადია, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი თ. მესხი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი დ. სანიკიძე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი თ. ბოკერია და დოცენტი ვ. აბდუშელიშვილი.

თეორიულმა კონფერენციამ დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

ქვის მომავალი ოსტატები

თერჯოლა. (საკ. კორ.). შორს გაითქვა სახელი ეკლარის თეთრმა და ფერადმა ქვამ, რომელსაც ფართოდ იყენებენ საბჭოთა ქვეყნის დიდი ქალაქების ნაგებობათა მოსაპირკეთებლად.

ეკლარის ქვიდან იკეთება საუცხოო ორნამენტები, მაგრამ ჩვენში ნაკლებად იყენენ ამ შესანიშნავი საქმის ოსტატები.

რაიონის ხელმძღვანელთა თანხლებით ეკლარში გაიხსნა პროფტექნიკური სასწავლებელი, სადაც სამოცი ახალგაზრდა ეუფლება ქვის მხატვრული დამუშავების ხელოვნებას. მასწავლებლები ჯ. სვინტრაძე, მ. ნიჟარაძე, შ. ბანძელაძე, მხატვარი ჯ. ხეცურიანი არაფერს იშურებენ მოსწავლეთა დაოსტატებისათვის.

გულისყურით სწავლობენ ძმები აეთანდილ, იუზა, ჯანიკო ცხადაბერიძეები, ა. ვარდოსანიძე, მ. პერანიძე, ა. ალავიძე, ი. ობოლაძე. ო. ბაზაძე, ბ. აბესაძე, ტ. მაჩიტაძე, მ. დიაკონიძე და სხვები.

ტრაულერის მდიდარი „ნადავლი“

ბათუმი. ავარის თეგზსაკერი ფლოტის სამმართველოს ტრაულერი „ქობულეთი“ თეგზის რეწვას აწარმოებს ცენტრალურ ატლანტიკაში. მეთევზეებს მაღალი ვალდებულებები აქვთ ნაკლისი ხარისხი დავალების შესრულებისათვის და მიცემული პირობას წარმატებით ანადღებენ.

— ამ დღეებში, — აცნობა რედაქციას ტრაულერის კაპიტნის პირველმა თანაშემწეე ზურაბ აბაშიძემ, — ეკიპაჟმა სასავნლო პროდუქციის საფინანსო გეგმას 170 ათასი მანეთით გადაამეტა, ხოლო კვების პროდუქციისას — 155 ათასი მანეთით, მოპოვებული და გაყინულია 2.500 ცენტნერი სხვადასხვა თეგზი.

„ქობულეთის“ ეკიპაჟი რეწვას წარმატებით განაგრძობს.

ბუნების სიუვარული

არაჩვეულებრივი ეზო

თუ როდისმე საღამოს გაივლით თბილისში ბათუმის ქ. № 7 სახლთან, უთუოდ ყურადღებას მიაქცევთ არაჩვეულებრივ ეზოს. მწვანე მესერი რომ აკრავს.

თვალში გეცემათ განაოცარი მწვანე კუთხე, რომელიც პატარა ბოტანიკურ ბაღს ჰგავს.

მწვანით მოსილი ტალავრები, ყოველნაირი დეკორატიული კალთები, სხვადასხვაფერი ფარნებით განათებული მცენარეთა ლამაზი კუთხეები, მინიატიურული კლდეებით შემორკალული მოლალაპე გუბურები და აუზები.

აი უკვე შვიდი წელია დეკორატიულ მცენარეთა მოშენებას გაუტაცნია თბილისის პირველი ავტოსატრანსპორტო კანტორის მძღოლი კოშუნისტი უშანგი დავითაშვილი.

ამ ხნის განმავლობაში თავისი ეზოს ახლოს უშენ ადგილას მას პირდაპირ წალკოტი შეუქმნია, რომლის საგრილეს და სილამაზეს კარგად იცნობენ არა მარტო ბათუმის ქუჩის მცხოვრებნი, არამედ ათასობით თბილისელიც და მათი სტუმრები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებიდან.

უშანგი დავითაშვილის ბაღში ნახავთ დიდი სამამულო ომის დაღუპულ გმირთა ძეგლის მინიატიურულ დეკორატიულ მოტივებს, საქართველოს და მისი დედაქალაქის ისტორიულ ღირსშესანიშნაობებს. დიდ გუბურასთან არის ზაპჩხის კაშხალის მაგები, ფუნიკულორი, ძველი მონასტრები და სვანური კოშკები, რკინიგზა ხიდებითა და გვირაბებით.

ბრილ სიმწვანეში ყველგან მრავალი დეკორატიული მორთულობაა, რომლებშიც გამოყენებულია ქართული კვარიანი, მრნაკა, მერქანი, ლობუნები.

— ახლა განვიზრახე ჩემს ბაღში გავმართო მინიატიურული ქართული სოფელი, რომელშიც, როგორც ბაბარა მუზეუმში თავს მოვუყარ ბევრი ძველი სოფლის დამახასიათებელ ეთნოგრაფიულ თავისებურებებს. სოფლის ბარშემი ივლის ელექტრორკინიგზა, ხოლო გზატკეცილზე იმოძრავებენ ავტომანქანები და სოფლის ტრანსპორტი.

ს. კილაძე.

ზურათებზე: უ. დავითაშვილი თავის ბაღში.
ავტორის ფოტო.

ჭადრაკის ამბები

ლიუბოევიჩის საოცარი სტატრტი

პეტროპოლიტენის საზონთაშორისო ტურნირზე მოიწყო 6 ტურის შემდეგ გადადებული პარტიების დამთავრება. ახალგაზრდა გროსმაისტერმა ლიუბოევიჩმა 50-ე სვლაზე აიძულა დანებებულიყო არგენტინელი პანო. ხუთნახევარი ქულა იქნაზიდან — ასეთი ბრწყინვალე შედეგით აიღო სტარტი ამ საპატიოო მარათონში ნიჭიერმა იუგოსლავმა. დანარჩენი გადადებული პარტიები ასე დამთავრდა: პორტმა მოუგო კაჯანს. ამ უკანასკნელმა წაიკო პანოსთანაც, ბელერმა დაამარცხა ბრონშტეინი; პორტიშ-მეკინგისა და ჭეკ-იკოვის შეხვედრები ყაიმით დამთავრდა.

ექვსი ტურის შემდეგ ერთპიროვნული ლიდერია ლიუბოევიჩი — 5,5 ქულა! პოლუგაევსკიმ, ბელერმა, პორტიშმა და მეკინგმა დააგროვეს ოთხ-ოთხი ქულა.

ტურნირი ამსტერდამში

გრროსმაისტერთა საერთაშორისო ტურნირის დამთავრებამდე ოთხი ტური დარჩა. მე-12 ტურში პეტროსიანმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ჰოლანდიელ ტიმანთან, ხოლო სპასკიმ — შვედ ანდერსონთან. ორივე ჩვენი გროსმაისტერი შავგვით თამაშობდა. ლიდერიც — იუგოსლავი ალბინ პოპანინი. „მშვიდობიანად მოურიგდა“ უნგრელ საბოს და ახლა მას 8,5 ქულა აქვს. ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩება პეტროსიანი. სპასკი მესამე-მეხუთე ადგილებს ეკიდა ჰოლანდიელებთან ია ტიმანთან და იან-ჰეინ დონერთან ერთად.

ოსტატთა ტურნირს კი ამ დროს ფინეთში ჰქონდა. ლვოველმა ოლეგ რომანიშინმა ბოლო ტურში ყაიმი გააკეთა ინგლისელ რობერტ ბელინისთან და მეორე ადგილს დასჯერდა 7,5 ქულით 11-დან. 8 ქულით გაიმარჯვა ჩეხოსლოვაკიელმა ვლასტიმილ იანსამ.

ბაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატზე

ინგლისის ქალაქ ტორნბი-ონ-ტისში ბაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ვათამაშდა 8 ტური. ლვოველმა ბელიავსკიმ მორიგი გამარჯვება მოიპოვა, ამჯერად ირანელ ოდუდსარისთან და 5,5 ქულა დააგროვა. საბჭოთა მოჭადრაკე ჯერჯერობით მეორეა. ლიდერობს იუგოსლაველი მარიანოვიჩი — 7 ქულა. ბოლო შეხვედრაში მან დაამარცხა ფინელი (გვადორი). ფინელმაც სამი ტური დარჩა.

ფინალის საგზურები

ზორონეჟსა და ფრუნზეში გამოვლინდნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ფინალების დანარჩენი მონაწილეებიც. ვორონეჟში 15 შესაძლებლიდან 10,5 ქულა დააგროვა ერეკვნელმა ოსტატმა ა. გრიგორიანმა და უმაღლეს ლიგაში ფინალური ასპარეზობის საგზური მოიპოვა. II-III ადგილები გაიყვეს ლენინგრადელმა გროსმაისტერმა ს. ფაშინმა და თბილისელმა ოსტატმა თ. ჯიორგაძემ (9,5-9,5 ქულა), IV-V ადგილები კი, საერთაშორისო ოსტატმა რ. ჯინჯიხაშვილმა და მოსკოველმა გ. დვორეცკიმ. ამრიგად, I ლიგის ტურნირში მონაწილეობის უფლება ორივე თბილისელმა მოიპოვა. ფრუნზეს ტურნირიდან უმაღლესი ლიგის ფინალში გავიდა სვერდლოვსკელი ო. ავერკინი.

ფეიგეურთი

5 აგვისტოს ლუჟნიკში

5 აგვისტოს სსრ კავშირის ნაკრები ამხანაგურ საერთაშორისო მატჩს გამართავს შვეიცარის ეროვნულ გუნდთან, რომელმაც ამ ზაფხულში წარმატებით იასპარეზა მსოფლიოს ჩემპიონებთან — ბრაზილიელებთან.

ჩვენი ნაკრების მწვრთნელებმა გუნდში მიიწვიეს 19 მოთამაშე: მეკარეები — ე. რუდაკოვი, ვ. პილგუი, ვ. ტკაჩენკო; მცველები — რ. ძოძუაშვილი, მ. ხურცილავა, ვ. კაპლიჩნი, ე. ლოგჩევი, ა. დერიგინოვი, მ. ფომენკო, ს. ოლშანსკი, ნახევარმცველები — ვ. მუხტიანი, ვ. კუზნეცოვი, ა. კონკოვი, ი. ვასილენინი; თავდამსხმელები — ვ. ბუცაევი, ა. ანდრიასიანი, ა. კოტეგოვი, ვ. ნიკონოვი, ო. ბლოხინი.

სსრ კავშირის თასზე

ბუენოს აიერეზში სსრ კავშირის თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური მატჩი.

ლენინგრადელ „ზენიტსა“ და „ერიკენის“ „ინტერს“ — „ინტერი“ — ასპარეზობა დამთავრდა სტუმრების სასარგებლოდ — 1:0.

სალიჩაზე — ჭაკუკები

ბაკოში (ამერიკის შეერთებული ფეიგეურთი) 1 ოგვესტოს. ... ...